წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N 2

2023 წლის 26 იანვარი

ქ. წალენჯიხა

2023 წლის 26 იანვარს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი: ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია, დარეჯან დადიანი,დავით ბელქანია,მანანა ჭანია,ნანა კეკუა,ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია,დათა კუკავა,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12^{00} სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 14^{00}საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი, რომელიც ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია, დარეჯან დადიანი,დავით ბელქანია,მანანა ჭანია,ნანა კეკუა,ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია,დათა კუკავა,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი-არცერთი) დამტკიცდა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **თეა სარია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2.სხვადასხვა

მოისმინეს: ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით „ბიუჯეტის შემოსულობების ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერების მუხლში აისახა: ა) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 2,604,388.00 ლარი; ბ)მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად გამოყოფილი თანხის, 1,404,894.50 ლარი, განახლებული რეგიონების ფარგლებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 851,142.00 ლარი; გ)საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 644,000.00 ლარი. შესაბამისად, 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 5,504.4 ათასი ლარით და განისაზღვრა 19,648.5 ათასი ლარის ოდენობით.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით 2022 წლის ბიუჯეტიდან რამდენი დარჩა აუთვისებელი თანხა, რასაც მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა უპასუხა, რომ რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილი თანხები 99%-ით იქნა ათვისებული, სხვა დარჩენილი აუთვისებელი თანხა მუნიციპალიტეტის საჭიროებებს მოხმარდება. პირველ ეტაპზე აისახა ის თანხები, რომლებიც მიემართა მუნიციპალიტეტის გადაუდებლად საჭირო ღონისძიებებისათვის, ხოლო დარჩენილ თანხები დაზუსტდება და გადანაწილდება სხვა ვალდებულებებზე.

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა , რომ „სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფისა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის“ პროგრამასთან დაკავშირებით იყო რიგი პრობლემები, სრულად ვერ იქნა თანხა ათვისებული, მაშინ როცა მუნიციპალიტეტში ამდენი სოციალურად დაუცველი მოქალაქეა, ამის მიზეზი წინასწარი მონიტორინგის გარეშე პროგრამების შემუშავებაა. ამასთან, დავით ბელქანიამ ისაუბრა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხების აუთვისებლობაზე, რაც მერიის არასათანადო მუშაობად შეაფასა.

ვერ იქნა თანხა ათვისებული „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ აღნიშნა , რომ მერიის სოციალურმა კომისიამ ამ პროგრამის ფარგლებში შეარჩია ოჯახი ფახულანის თემიდან, რომლისთვისაც უნდა შეესყიდათ კონტეინერი, თუმცა ტენდერის 2-ჯერ ჩაშლის გამო პრობლემა ვერ იქნა გადაწყვეტილი.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია, დარეჯან დადიანი,დავით ბელქანია,მანანა ჭანია,ნანა კეკუა,ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია,დათა კუკავა,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N3.

მოისმინეს: 11.სხვადასხვა

საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" თავმჯდომარემ გონერ კვარაცხელიამ დააყენა შემდეგი საკითხები:
1.2022 წელს გათვალისწინებული იყო სოციალური პროგრამა: „ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის (რომელთა საცხოვრებელი სახლი არ ექვემდებარება რეაბილიტაციას) ინდივიდუალური საცხოვრისით უზრუნველყოფის ,ხოლო მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირებისათვის (რომელთა საცხოვრებელი სახლი ექვემდებარება რეაბილიტაციას) მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით ერთი ოთახის მოწყობის შესახებ", თუმცა პროგრამამ, ფაქტობრივად,ვერ იმუშავა, 2022 წლის დეკემბრის დასაწყისამდე ვერ შეძლო პროგრამით მოსარგებლე პირების გამოვლენა. იგივე რომ არ განმეორდეს ფრაქცია ,,წალენჯიხა-საქართველოსთვის" აუცილებლად მიიჩნევს სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფის პროგრამის გაცემის წესს დაემატოს:
თავი მე-6 : „პროგრამაში მონაწილეობისათვის ბენეფიციარებიდან განცხადებები მიიღება 2023 წლის 1 აპრილამდე";
თავი მე-7 : სოციალურ საკითხთა კომისიამ ერთი თვის ვადაში 2023 წლის 1 მაისამდე გამოავლინოს პროგრამით მოსარგებლე პირები.ფრაქცია ,,წალენჯიხა-საქართველოსთვის" სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ინდივიდუალური საცხოვრისით უზრუნველყოფა მიზანშეწონილად მიაჩნია მსუბუქი, ასაწყობი კონსტრუქციების ნაცვლად მოხდეს საცხოვრებელი სახლის ადგილზე აშენებით.ჩვენ მოვიპოვეთ 35 კვადრატული მეტრის საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ხარჯთაღრიცხვა (თან ერთვის), რომლითაც დასტურდება,რომ მსუბუქი, ასაწყობი კონსტრუქციის ე.წ. კონტეინერების შეძენაზე, ჩამოტანაზე და ადგილზე დამონტაჟებაზე გასაწევ ხარჯებზე მეტი არ დაჯდება საცხოვრებელი სახლის ადგილზე აშენება. ამასთან, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის უფლება ექნებათ ადგილობრივ მეწარმეებს და მათ მშენებლობაზე დასაქმდებიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები.
2.გასული წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო და მიმდინარე წლის ბიუჯეტითაც გათვალისწინებულია თანხა მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოების ჩასატარებლად, გამარჯვებულ პირს ხელშეკრულებით მოქმედების ვადა დეკემბრის თვეში დაუმთავრდა. 2023 წლის მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოების ჩასატარებლად, მიუხედავად იმისა , რომ წლის დასაწყისიდან თითქმის ერთი თვეა გასული,ტენდერი დღემდე არ არის გამოცხადებული, რითაც პრობლემა ექმნება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ობიექტების დროულ შესრულებას, რაც ამ კუთხით, მერიის გამართულ მუშაობაზე არ მიუთითებს.ვითხოვთ შესაბამისი სამსახურებიდან ამ საკითხის სასწრაფოდ რეაგირებას.
3.2024 არის საარჩევნო წელი, ამიტომ პოლიტიკური პარტიებისგან ,სხვადასხვა ორგანიზაციებისგან გახშირდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობების , განსაკუთრებით კინო-თეატრის შენობის დროებით სარგებლობაზე მოთხოვნები. ფრაქციას ,,წალენჯიხა- საქართველოსთვის" აუცილებლად მიაჩნია შესაბამისმა სამსახურებმა შეიმუშაოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების დროებით სარგებლობის წესი და განსაზღვროს საიჯარო ქირის ოდენობა, მათ საათობრივ სარგებლობაზე,

რითაც წერტილი დაესმება, ამ კუთხით ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენების საკითხს.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია